ALL-ENCOMPASSING "WHISPER" - A WAY TO PERCEIVE THE MYSTERIOUS WORLD (INGA BAKHTADZE'S "NIGHT WHISPER")

ზღვის დამტევი „ჩურჩული“ - იდუმალი სამყაროს შეცნობის გზა (ინგა ბახტაძის „ღამის ჩურჩული“)

Guranda Gobiani
Doctor of Philological Sciences,
Associate Professor of Central European University,
Tsereteli st. #13, Kutaisi, Georgia,
+995599075460, gobianiguranda78@gmail.com
https://orcid.org/0000-0002-4782-2808

Abstract. The article discusses “Night Whisper,” a novella by the Georgian writer and art critic Inga Bakhtadze, using interdisciplinary methods, in particular, textual analysis, hermeneutics, and comparative approaches. The work explores the symbolism of the female voice, the meaning of whispering as a means of perceiving the mysterious world, and the mechanism of the internal transformation of a man. The research discusses the structure of Bakhtadze’s narrative, character relationships, and the social, cultural, and psychological contexts revealed in the text.

Through hermeneutic analysis, the novel's central motifs are linked to Jung's archetypal theory, especially to the expressions of feminine energy, wisdom, and the collective unconscious. Particular attention is paid to the concept of the anima as the feminine beginning, which appears as a driving force for internal transformation in male consciousness.

Inga Bakhtadze's novella "Night Whisper" is a symbolic way of connecting with the mysterious world, in which the whisper reflects the voice of a woman, suppressed and hidden, but at the same time a powerful inner force. In the text, the metaphor of the whisper is connected to the theme of the sea, which reflects the emotional turmoil and unconscious waves occurring within a person.

The study shows that whispering in Bakhtadze's text is not only a form of communication but also a conduit for spiritual adventures that help characters transcend their own identity and the boundaries of existence. The work is of interest to literary scholars interested in gender narratives, the study of mysterious symbolism, and the representation of the female voice in literature.

Keywords: Spiritual adventure, Transcendental nature, The process of inner transformation, Night, Whisper, Archetype of transformation, Anima.

გურანდა გობიანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. #13, საქართველო,
+995599075460, gobianiguranda78@gmail.com
https://orcid.org/0000-0002-4782-2808

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია ქართველი მწერლისა და ხელოვნებათმცოდნის, ინგა ბახტაძის, „ღამის ჩურჩული“ ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენებით, კერძოდ, ტექსტური ანალიზის, ჰერმენევტიკისა და კომპარატივისტული მიდგომების საშუალებით. ნაშრომი იკვლევს ქალის ხმის სიმბოლიკას, ჩურჩულის მნიშვნელობას როგორც იდუმალი სამყაროს შემეცნების საშუალებას და მამაკაცის შინაგანი ტრანსფორმაციის მექანიზმს. კვლევის ფარგლებში განხილულია ბახტაძის ნარატივის სტრუქტურა, პერსონაჟთა ურთიერთობები და ტექსტში გამოვლენილი სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური კონტექსტები.

ჰერმენევტიკული ანალიზის მეშვეობით ნოველის ძირითადი მოტივები დაკავშირებულია იუნგის არქეტიპულ თეორიასთან, განსაკუთრებით ქალური ენერგიის, სიბრძნისა და კოლექტიური არაცნობიერის გამოხატულებებთან. ყურადღება ეთმობა ანიმას კონცეფციას, როგორც ქალურ საწყისს, რომელიც მამაკაცის ცნობიერებაში შინაგანი ტრანსფორმაციის მამოძრავებელ ძალად გვევლინება.

ინგა ბახტაძის ნოველა „ღამის ჩურჩული“ წარმოადგენს იდუმალ სამყაროსთან კავშირის სიმბოლურ გზას, რომელშიც ჩურჩული ასახავს ქალის ხმას, ჩახშობილსა და დაფარულს, მაგრამ, ამავე დროს, ძლიერ შინაგან ძალას. ტექსტში ჩურჩულის მეტაფორა დაკავშირებულია ზღვის თემასთან, რომელიც ასახავს ადამიანის შიგნით მიმდინარე ემოციურ ღელვასა და არაცნობიერ ტალღებს.

კვლევა აჩვენებს, რომ ბახტაძის ტექსტში ჩურჩული არა მხოლოდ კომუნიკაციის ფორმაა, არამედ სულიერი თავგადასავლების გამტარი, რომელიც ეხმარება პერსონაჟებს საკუთარი იდენტობისა და ყოფიერების საზღვრებს გასცდნენ. ნაშრომი საინტერესოა ლიტერატურის მკვლევრებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან გენდერული ნარატივებით, იდუმალი სიმბოლიკის კვლევითა და ქალის ხმის რეპრეზენტაციით ლიტერატურაში.

საკვანძო სიტყვები: სულიერი თავგადასავალი, ტრანსცენდენტური ბუნება, შინაგანი ტრანსფორმაციის პროცესი, ღამე, ჩურჩული, გარდაქმნის არქეტიპი, ანიმა.

შესავალი. მიუკვლეველი, ამოუცნობი სულერი სამყარო, ფარული ემოციები და ადამიანის მუდმივი მცდელობა, გადააჭარბოს გარემოს მიერ დადგენილ საზღვრებს, გახლავთ ინგა ბახტაძის შემოქმედების მთავარი ანარეკლი. სივრცე (ცა) და სიღრმე (ზღვა) - ადამიანის ტრანსცენდენტური, იმანენტური ბუნება - მთავარ ადგილს იკავებს მუსიკალურობითა და ემოციურობით დატვირთულ მწერლისა და ხელოვნებათმცოდნის მხატვრულ და არამხატვრულ ნარატივში. ბახტაძე გვთავაზობს თანამედროვე ქართული რეალობის ძალიან საინტერესო, ორიგინალურ სიღრმისეულ ანალიზს და გვიტოვებს სივრცეს ფიქრისთვის, განსჯისთვის, შეფასებისთვის.

ინგა ბახტაძის ერთ-ერთ ნოველას - „ღამის ჩურჩული“ - ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს გალაკტიონ ტაბიძის ლექსის ფრაგმენტი:

,,ღრუბლებო შავო, მზეო საპყარო,
მე აღტაცების ზღვაში შეველი,

აღმოვაჩინე მთელი სამყარო,
ქვეყნისთვის ჯერაც მიუკვლეველი."
გალაკტიონ

ამონარიდი სიმბოლურად ასახავს ნოველაში გაჟღერებულ ძირითად სათქმეს. აღმაფრენა და სირთულეების გადალახვა, რომელიც ადამიანურ ყოფას თან ახლავს, გვაახლოებს შიდა სამყაროს სიღრმეებთან. ეს სულიერი თავგადასავლის გზაა. გალაკტიონის ლექსში „ღრუბლები“ შეიძლება განიმარტოს როგორც დაბრკოლებები, „მზე“ კი – როგორც თავისუფლებისა და შთაგონების სიმბოლო, რომელიც ტყვეობაშია. ბახტაძის ნოველაში კი ქალის ჩუმი ხმა სწორედ ასეთი „მზის საპყრობილეა“ – ის ჩუმად არის, ლანდად იქცევა ,,მედეასეული ლტოვით“, მაგრამ მის შიგნით არსებობს ძალა, რომელიც გამალებით იბრძვის თავისუფლებისა და სოციუმის მიერ დაწესებული საზღვრების გადასალახად. ლექსის ფრაგმენტში „ღრუბლების შავობა“ და „მზის საპყრობა“ აღნიშნავს სიბნელესა და სინათლეს შორის დისბალანსს. ნოველაში ღამე სიმბოლოა სიბნელისა და ჩახშული თავისუფლების, სადაც მხოლოდ ჩურჩულით იბადება გმირების პროტესტი. ამავე დროს, ღამე არის სიმშვიდის და პიროვნული სიმართლის პირობითი დრო, სადაც გმირები საკუთარ სიმაღლეს პოულობენ. ასე იპოვეს ,,იდუმალი ამბის ახალი მოთხრობის“ გმირებმა ღამის ჩურჩულში საკუთარი ხმა, საკუთარი ბედნიერება და მომავალი. ჩუმი, დაჩქმალული, მაგრამ ძლიერი ემოციური ხმა, რომელიც ღამის სიმშვიდეში ისმის, არღვევს ტრადიციული საზოგადოების ჩაკეტილ სივრცეს და აღიქმება, როგორც ქალის როლის სიმბოლო საზოგადოებაში. ორივე ტექსტი აჩვენებს წინააღმდეგობას ინდივიდსა და გარემოს, სინათლესა და სიბნელეს, ნამდვილსა და მოჩვენებით სამყაროს შორის.

ნოველაში ჩურჩული იქცევა არამხოლოდ პროტესტის, არამედ ტრანსფორმაციის საშუალებადაც, ახალი სამყაროს შეცნობის მძლავრ მექანიზმად, რაც მამაკაცის შინაგანი ცვლილების საფუძველი ხდება. ქალის ჩურჩული არ არის მხოლოდ პირადი განცდების გამოხატვა, არამედ მამაკაცისთვის გარდაქმნის საშუალებაა. ის ეხმარება მამაკაცს საკუთარ თავში დამალული სამყაროს აღმოჩენასა და სოციალური როლების გადაფასებაში.

მეთოდები. კვლევის დროს გამოყენებულია ტექსტური ანალიზი, ჰერმენევტიკული მეთოდი, კომპარატივისტული მეთოდი, ინტერდისციპლინური მეთოდი.

შედეგები და მსჯელობა. როგორ ასახავს „ღამის ჩურჩული“ ქალის ჩუმ ხმას, როგორც იდუმალი სამყაროს შეცნობის გზას და მამაკაცის შინაგანი ტრანსფორმაციის მექანიზმს? - ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია გავაანალიზოთ ნოველის სიმბოლოები, პერსონაჟთა ურთიერთობები და სოციალური კონტექსტი, რომელშიც მოქმედება ვითარდება.

სათაურის -,,ღამის ჩურჩული“ - სიმბოლიკა წინასწარ განსაზღვრავს ტექსტის განწყობას. ის იდუმალებაზე, საიდუმლოებაზე, ტაბუდადებულ თემაზე მიგვანიშნებს, რომელიც ჩუმი, მაგრამ მძლავრი ფორმით იბადება და მოიცავს არა მხოლოდ ემოციურ და ფილოსოფიურ ასპექტებს, არამედ სოციუმსა და ინდივიდს შორის არსებულ დისონანსსაც. ,,ღამე კოლხურად გრძნეული, სასწაულს ჰპირდებოდა თითქოს იქაურებს და ვნებით ავსებდა“ (ბახტაძე, 2023: 27). ღამე, როგორც დროის სიმბოლო, ასოცირდება ჩუმი, დაფარული ემოციების, ტკივილისა და სიმართლის გამოხატვის შესაძლებლობასთან. დღისით, როცა ,,ხვეულებით მორთულ ჟანგმოკიდებულ რკინის ჭიშკრებთან თავშეყრილი“ კაცები ჩვეული კოლხური ფანტაზიით და უჩვეულო შენელებული ხმით ,,თხზავდნენ“ ახალ ამბავს, ღამით ქალის ლანდის ,,ჩურჩული“ ამ იდუმალ ,,ამბავს“ მედეასეული გრძნეულებით ავსებდა და მეტ საიდუმლოებას სძენდა.

ახალი ცხოვრებისეული გამოცანის წინაშე იდგა დაბა-სოფელი: სინამდვილედ მიეღო რაც მის თვალსაწიერში ხდებოდა, თუ მოჩვენებად, გაეგრძელებინა ტრადიციული

ცხოვრების გზა და ჩაეხშოს ცვლილებები, თუ მიეღო ახალი გამოწვევები და გადაეხედა საკუთარ ღირებულებებისთვის. ამ კონტექსტში, ქალის იდუმალი ლანდი იქცევა მომავლის კარის გასაღებად, რომელიც სთავაზობს სოფელს ახალი განვითარების გზას. დაბა-სოფლისთვის ეს არა მხოლოდ სოციალური, არამედ მორალური გამოცანაც არის — რამდენად მზად არის ის მიიღოს ქალი, როგორც აქტიური და სრულფასოვანი წევრი და გადააფასოს საკუთარი ტრადიციები.

ავტორი ჩვეული ოსტატობით, მოქნილი სარკაზმნარევი იმერული დიალექტური დიალოგებითა და კოლორიტული სახეებით აჩვენებს რა უფრო მნიშველოვანია ე.წ. თანამგრძნობი და ტოლერანტული საზოგადოებისათვის - პატარა აივნიან ოდაში სამუდამოდ საწოლს მიჯაჭვული ახალგაზრდა, ინვალიდი კაცის სვე-ბედი, რომლის მიმართაც ,,თანაზიარი განცდა“ კარგა ხანია გაქარწყლებულიყო და ყველას მივიწყებოდა, თუ იდულამებით მოცული ქალი-ლანდის წელს ქვემოთ მოწყვეტილ, ხეიბარ კაცთან ღამ-ღამობით ,,სტუმრობის“ მიზანი და მოტივი: ,,აპა, ქალი რომ მიიპარება ფანცქალით ბნელში, ვითომ ტყუილად? არაა მასე. ქალი ქალია და თუ ეიშვა თავი, სასტაულს იზამს“ (ბახტაძე, 2023: 28). ამ ,,სასტაულს“ ,,ხანში შესული კაფანდარა (კაცი), წლობით ნარეცხ გაქუცულ პერანგს თავმომწონედ რომ ისწორებდა“ და ,,შუბლზე ხილბანდწაკრული, გაწრიპული ქალი ქობაშემორღევულ კაბას წამდაუწუმ რომ ისწორებდა“ ასე ხსნიან:

- უყურე შენ, შეხედე შენ! კაცობაკტარ ბიჭს ეგი ქალი რეიზა აკითხავს ბნელში, ზღაპრებს უყვება, ნანინას თუ უმღერის ძილის წინ. აპა სხვა რაია? რეიზა იმეტებს თავს უბედური. გოუთვალიათ და ჟამი შეყრია დაწყევლილს (ბახტაძე, 2023: 28).

ყველაზე აქტიური, ცნობისმოყვარე ,,ქმრის ძველ, ჩათელილ ფეხსაცმელში ფეხებგაყოფილი“ ქალი და იქედნურად ,,მოხვიხვინე“ კაცი სახეა იმ საზოგადოებისა, რომელშიც ქალისა და მამაკაცის როლები მკაცრად განსაზღვრულია. ამას თავისი სოციალურ-ისტორიული კონტექსტი უდევს საფუძვლად ქართულ რეალობაში. როგორც ლიტერატურათმცოდნე სალომე პატარიძე აღნიშნავს ერთ-ერთ ინტერვიუში: ,,ჯერ ცარიზმისა და შემდეგ საბჭოთა კავშირის პერიოდში გენდერის დისკურსი ნაციონალურ საკითხთან მჭიდრო კავშირში იყო. ქართულ დისკურსში ქალის სექსუალობა ოჯახის შექმნას ებმოდა და მოიცავდა ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა: სიყვარული, ქორწინება, ღირსება, დედობა, რეპროდუქცია, ნაციონალიზმი და ქართველი ქალი. ამას ემატებოდა ის გარემოება, რომ საბჭოთა ნარატივი ქალებს სამუშაო ძალად განიხილავდა და აქცენტი თანამედროვე მუშა ქალის კომპლექსურ სახეზე კეთდებოდა, კერძოდ, მუშა ქალი საოჯახო სივრცეში ისევე სამაგალითო უნდა ყოფილიყო, როგორც მუშა ძალა, შესაბამისად, ახალი ისტორიული მოცემულობა თანამედროვე ქალისაგან მულტიროლის აღსრულებას მოითხოვდა, რამაც ქალების თვითაღქმა კიდევ უფრო გაართულა” (პატარიძე, 2023). თუმცა ამ საზოგადოებაშიც არის, საბედნიეროდ,, ,,ჯერაც მკერდსავსე, თვალჟუჟუნა, მოხდენილად მორგებულ ჩითის კაბიანი“ ახალგაზრდა, რომელიც ამ ,,სასტაულს“ მხოლოდ და მხოლოდ ერთი მოტივით - სიყვარულით ხსნის. ეს აჩვენებს, რომ სოფელი და მისი საზოგადოება დგას ახალი ცხოვრებისეული გამოწვევის წინაშე, რომელიც მოითხოვს შინაგან და გარე გარდაქმნას და ეს გარდაქმნა ყველაზე ნათლად სწორედ მამაკაცის ტრანსფორმაციაში ჩანს.

შევადაროთ, როგორია ახალგაზრდა მამაკაცის მდგომარეობა ,,ღამის ჩურჩულამდე“ და შემდე. ნოველაში აღწერილია, რომ მამაკაცი საკუთარ უმოქმედობაშია ჩარჩენილი, საწოლს არის მიჯაჭვული და სხვების მოწყალების ამარა ზედმეტ ტვირთად ქცეული, მაგრამ ქალის ,,ჩუმი ხმა” ნელ-ნელა ამოძრავებს და სულიერად გარდაქმნის მას. მამაკაც პერსონაჟზე ქალის ჩურჩული მოქმედებს როგორც გაღვიძების მექანიზმი. ის შთააგონებს მას საკუთარ თავში ჩაიხედოს, გადააფასოს ურთიერთობები, გარშემომყოფი სამყარო და იპოვოს ძალა გადარჩენის. ამ პროცესში ქალი თითქოს ირიბად ეხმარება მამაკაცს, იპოვოს საკუთარი თავის ძლიერი მხარე და აქტიური მოქმედებისკენ წაიყვანოს. მამაკაცი

პერსონაჟი, რომელიც ფიზიკურად და ემოციურად შეზღუდულია, ქალის ჩუმ ხმას ,,ემორჩილება", რაც მისთვის სულიერი ტრანსფორმაციის და თვითშეგნების პროცესის დასაწყისია.

ნოველაში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ბუნების სიმბოლიკას. ღამის პეიზაჟი ხაზს უსვამს შინაგან კონფლიქტებს, ადამიანის სულიერ ძიებას, სოციალურ ცვლილებას, დაბა-სოფლის სტატიკურ და დინამიკურ მდგომარეობას. სოფელი თითქოს დუმს, მაგრამ ამ სიჩუმეში მიმდინარეობს ცვლილების ნელი პროცესი. ბუნებრივი გარემო, უჩუმრად შემოპარული ღამე, როგორც გამოსავლის ძიების სივრცე, ,,იდუმალი ამბის" ყველაზე დიდი ხელშემწყობი და თანაზიარია: ,,ღამე შემოიპარა უჩუმრად დაბა-სოფელში. მთვარე გულგრილად დაჰყურებდა ლარივით გაჭიმულ შარას. სიპი ქვით, ვინ იცის როდის საგულდაგულოდ ნაწყობი, ალაგ-ალაგ დაბლობის მსუყე ხავსით დალაქული ყორე-ღობეები თითქოს მცველებად ედგა ნალოლიავებ-ნაფერებ ეზოებს.

უკადრისობდა კოლხეთის მიწა ორღობეებს და ხელისგულივით გაშლილ შარაგზას სჩუქნიდა იქაურობას " (ბახტაძე, 2023: 29).

თითქოს ბუნება ცდილობს მხსნელად და საიდუმლოს შემნახველად მოევლინოს იდუმალ წყვილს, ამოავსოს ადამიანების გულგრილობით გაჩენილი ვაკუუმი, ფსიქოლოგიური, ემოციური დისტანცია და უტყვი მოწმე გახდეს დიდი სასწაულის: ,,ამ გზისპირს მიჰყვებოდა კატისებური სიფრთხილითა და სიმსუბუქით ქალი-ლანდი. მის ქვეშ დახრეშილი მიწა თითქოს ბუმბულივით ქცეულიყო. სიბნელე კი მცველად. გაყურსული ღამე საიდუმლოს უნახავდა ქალ-ლანდს, მედეასეულ ლტოლვას მისტიკურ ფრთებს ასხამდა (ბახტაძე, 2023: 29).

იუნგის თეორიაში ღამე, ჩურჩული და ქალი მნიშვნელოვან სიმბოლურ დატვირთვას ატარებენ. ისინი დაკავშირებულნი არიან არაცნობიერში დამალულ არქეტიპულ ენერგიებთან, რომლებიც ლიტერატურაში ხშირად გამოიყენება პერსონაჟების შინაგანი სამყაროსა და მათი ტრანსფორმაციის ასახვისთვის. არქეტიპები ინსტინქტებიდან მომდინარეობენ, ამიტომ მათ ქმედებაში უმთავრესი გადარჩენისადმი სწრაფვაა (Jung, 1959). სწორედ ეს ასპექტია გამოყენებული ბახტაძის ნოველაში - გარემოს მიერ დადგენილი საზღვრების გადალახვა და ბრძოლა გადარჩენისთვის. აქ ღამე ქმნის იმ გარემოს, სადაც ქალის ხმა გაისმის ჩუმად, მაგრამ მძლავრი ზეგავლენით. ქალი წარმოადგენს ფარულ ძალას, რომელიც მამაკაცის ტრანსფორმაციის გასაღები ხდება. მისი ჩურჩული არის სწორედ გრძნობისა და აღქმის არქეტიპული ხმა, რომელიც არ ცვლის მამაკაცს ძალდატანებით, არამედ მის შიგნით არსებულ არაცნობიერს ააქტიურებს. ქალი-ლანდი არის მდედრობითის სახე მამრის ფსიქიკაში, ე.წ. ანიმა, რომელიც მის არაცნობიერ ფემინურ ნაწილს წარმოადგენს. ის არამხოლოდ სიყვარულისა და სინაზის სიმბოლოა, არამედ მისი პიროვნული ზრდის მნიშვნელოვანი ელემენტიც. ის იწვევს შინაგან დიალოგსა და შეცნობის პროცესს (Jung, 1959).

„ღამის ჩურჩული" იუნგის არქეტიპული სიმბოლიკით შეიძლება აღვიქვათ, როგორც შინაგანი ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც ხორციელდება ჩუმი ზემოქმედებით. ღამე წარმოადგენს ცვლილებების სივრცეს, ჩურჩული – არაცნობიერის ხმას, ხოლო ქალი – იმ ფარულ ძალას, რომელიც მამაკაცს აიძულებს, ჩახედოს საკუთარ შინაგან სამყაროს.

ნოველაში ღამე ქმნის ფარულ, არაცნობიერ სივრცეს, სადაც ქალი, როგორც გარდაქმნის არქეტიპი, ჩურჩულით ახდენს ზემოქმედებას და ცვლის რეალობას. ახალი რეალობა კი ასეთია - დაბა-სოფლის (სოციუმის) წინაშე ხეიბარი, დაბეჩავებული კაცის ნაცვლად, მთელი ტანით შემართული, მხრებგაშლილი ახალგაზრდა კაცი დგას თავისი დიდებულებით და ქალი-ლანდის ნაცვლად რეალური ქალის სილუეტი უმშვენებს გვერდს… ,,ლანდი სადღაც გამქრალიყო…".

დასკვნა. ინგა ბახტაძის „ღამის ჩურჩული“ ლიტერატურულ სივრცეში გამორჩეული ნოველაა, რომელიც ასახავს ქალის ჩუმი ხმის, ჩახშული ემოციებისა და გენდერული უთანასწორობის თემებს. ტექსტი სიმბოლურად წარმოაჩენს, როგორ ფუნქციონირებს ჩურჩული, როგორც ჩუმი პროტესტი და სულიერი გარდაქმნის მექანიზმი. ღამე და ჩურჩული ასახავს ქალის შინაგან ბრძოლას, შეზღუდულ კომუნიკაციასა და მის გავლენას მამაკაცის ფსიქიკაზე, რაც ნოველის მთავარი მოტივია. ჩურჩულის ხმა, რომელიც გარეგნულად სუსტია, სინამდვილეში ძლიერი ძალაა, რომელიც თანდათანობით ცვლის მამაკაც პერსონაჟს და უბიძგებს შინაგანი ტრანსფორმაციისკენ.

ნაწარმოები არა მხოლოდ ფსიქოლოგიური და ემოციური დრამაა, არამედ სოციალური კრიტიკაც, რომელიც ხაზს უსვამს ქალის ხმის ჩახშობას ტრადიციულ, პატრიარქალურ საზოგადოებაში. ქალი ვლინდება როგორც ფარულად მოსაუბრე არსება, რომელსაც არ აქვს სივრცე საკუთარი ხმის სრულად გამოსახატად. ნოველა მრავალშრიანი ლიტერატურული ტექსტია, რომელიც მკითხველს სთავაზობს ღრმა ემოციურ და სიმბოლურ გზავნილს - ქალი ჩურჩულითაც კი ახერხებს თავისი არსებობის მტკიცებას - ტექსტში ღამე და ჩუმი ხმა ქალის შინაგან სამყაროდ, გაუხმაურებელ განცდებად და თავისუფლებისკენ სწრაფვად აღიქმება, რომელიც ავტორისთვის მთავარი გზა და გზავნილია იდუმალი სამყაროს შეცნობისკენ. ეს ტექსტი იმ ძალის მანიფესტაციაა, რომელსაც ჩუმი ხმა (ქალის ხმა) ატარებს საზოგადოებისა და ინდივიდის ტრანსფორმაციისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

ამაშუკელი, თ. (2022). *ქალის რეპრეზენტაცია და „ქალური წერა“ ქართულ და ჩრდილოამერიკულ პოეზიაში.* დოქტორის დისერტაცია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. https://eprints.iliauni.edu.ge/12323/1/თამარ%20ამაშუკელი.pdf

ბახტაძე, ი. (2023). *თალხი პერანგი, ნოველები, ესეები.*

გელაშვილი, ნ., & გაფრინდაშვილი, ლ. (2005). *ქალი-სახე და პრობლემა.* II ტომი. კრიტიკული წერილები. თბილისი: გამომცემლობა „კავკასიური სახლი“.

კაკაბაძე, ვ. (1979). *სიღრმის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

პატარიძე, ს. (2023). ინტერვიუ: ბაბილინა ხოსიტაშვილისა და ლიდია მეგრელიძის შემოქმედება პატრიარქალურ საზოგადოებაში. *არილი.* https://arilimag.ge/ინტერვიუ-სალომე-პატარიძე/

ქინქლაძე, ს. (2021). ქალი, როგორც საკუთრება: საკითხის პრობლემატიზაცია მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ ფემინისტურ ნააზრევში. *ხმა ქართველი ქალისა*, 2. https://doi.org/10.48614/vgw.2.2018.2503

Jung, C. G. (1959). *Archetypes and the collective unconscious.* (R. F. C. Hull, Trans.). Princeton University Press.

REFERENCES

amashuk'eli, t. (2022*). kalis rep'rezent'atsia da „kaluri ts'era“ kartul da chrdiloamerik'ul p'oeziashi [Representation of Women and “Feminine Writing” in Georgian and North American Poetry].* Doctoral dissertation. Ilia State University. https://eprints.iliauni.edu.ge/12323/1/თამარ%20ამაშუკელი.pdf

bakht'adze, i. (2023). *talkhi p'erangi, novelebi, eseebi [The Dark Shirt, Novels, Essays].*

gelashvili, n., & gaprindashvili, l. (2005). *kali-sakhe da p'roblema [Woman-Image and Problem].* Vol. II. k'rit'ik'uli ts'erilebi [Critical Letters]. Tbilisi: Publishing House „Kavkasiuri sakhli“.

k'ak'abadze, v. (1979). *sighrmis psikologiis pilosopiuri sapudzvlebi [Philosophical Foundations of Depth Psychology]*. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.

p'at'aridze, s. (2023). int'erviu: babilina khosit'ashvilisa da lidia megrelidzis shemokmedeba p'at'riarkalur sazogadoebashi [Interview: Babilina Khositashvili and Lidia Megrelidze's Creativity in a Patriarchal Society]. *arili [Aril]*. https://arilimag.ge/ინტერვიუ-სალომე-პატარიძე/

kinkladze, s. (2021). kali, rogorts sak'utreba: sak'itkhis p'roblemat'izatsia me-20 sauk'unis dasats'qisis kartul peminist'ur naazrevshi [Woman as Property: Problematization of the Issue in Early 20th Century Georgian Feminist Thought]. *khma kartveli kalisa [Voice of the Georgian Woman]*, 2. https://doi.org/10.48614/vgw.2.2018.2503

Jung, C. G. (1959). *Archetypes and the collective unconscious*. (R. F. C. Hull, Trans.). Princeton University Press.